N 269 16/07/2019

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში მაჟორიტარი დეპუტატის, ელისო ჭიჭინაძის მოსახლეობასთან შეხვედრისა და 2018 წლის ანგარიშის წარდგენის
ოქმი

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

სოფელი, თემი, დაბა: ლესის ადმინისტრაციული ერთეული.

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 11 ივლისი, 2019 წელი 12.00 საათი.

შეხვედრას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე,** მერის წარმომადგენელი ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში **დავით ლომაძე,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **მაია კუპატაძე,** მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია,** ლესის ადმინისტრაციული ერთეულის ამომრჩევლები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თვმჯდომარე ბატონი **ბესიკ ტაბიძე** მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, ამომრჩევლებს და აღნიშნა, რომ საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებულია საკრებულოს წევრების მიერ წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ანგარიშის ჩაბარება ამომრჩეველთათვის. აღნიშნა, რომ ლესის მაჟორიტარი დეპუტატი **ელისო ჭიჭინაძე** არის აქტიური დეპუტატი, ზრუნავს სოფლის კეთილდღეობაზე, ყოველდღიური კონტაქტი აქვს ამომრჩევლებთან.

მაჟორიტარმა დეპუტატმა **ელისო ჭიჭინაძემ** 2018 წელს გაწეული მუშაობა შეაჯამა და აღნიშნა, რომ საანგარიშო პერიოდში შეხვედრები ჰქონდა ამომრჩეველთან, განიხილეს ინფრასტრუქტურული და სოციალური საკითხები. მისი შუამდგომლობით არაერთ მოქალაქეს გაეწია დახმარება სოციალური პროგრამის ფარგლებში. სტიქიით დაზარალებულ მოსახლეობას გადაეცათ სახლის სახურავის მასალა.

ქალბატონმა **ელისო ჭიჭინაძემ** ისაუბრა სოფელში განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე: სოფელ ლესაში „კორეას“ უბანში აღდგა რკ/ბეტონის მილხიდი; დავით სულაბერიძის სახლთან მოეწყო გაბიონი; ჭინათში და ზემო ჭინათში მოეწყო ნაპირსამაგრი და აღდგა გზა; ნაზიბროლა ჯიბლაძის ეზოსთან აღდგა მისასვლელი გზა; მერაბ სულაბერიძის უბანში მოეწყო ბეტონის საფარი და ა.შ.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით რეაბილიტაცია უტარდება ლესის ყოფილი კულტურის სახლის საკონცერტო დარბაზს. თითქმის დასრულებულია გაზიფიცირების პროცესი და მიმდინარეობს განცხადებების მიღება გაზის შეყვანის თაობაზე, ასევე დაწყებულია ლესის საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია.

სოფელ ლესაში მთავარი პრობლემა წყალის სისტემის მოწესრიგებაა, განსაკუთრებით „კორეის“, „ტურაულის“ და „კუნჭულიების“ უბნებში. აღნიშნულ უბნებს საერთოს არ მიეწოდებათ წყალი. ასევე რთული მდგომარეობაა შიდა გზებზე, ზემო ჭინათში მისასვლელი ფაქტობრივად არ არსებობს. მოსახლეობის მოთხოვნაა უმოკლეს ვადაში მოწესრიგდეს გარე განათება.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ამ დღეებში ლანჩხუთში სტუმრად იმყოფებოდა ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე, რომელიც დაგვპირდა რომ მეტი თანხა იქნება მობილიზებული გზების რეაბილიტაციისთვის.

მაჟორიტარმა დეპუტატმა ასევე განაცხადა, რომ სამომავლოდ სოფელ ლესაში დაგეგმილია ახალი ამბულატორიის მშენებლობა და გარე განათების მოწყობა.

მერის წარმომადგენელმა ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში **დავით ლომაძემ** დააანონსა, რომ უახლოეს დღეებში დაიწყება აზიური ფაროსანას შეწამვლის შემდგომი ეტაპი.

დეპუტატმა ელისო ჭიჭინაძემ მადლობა გადაუხადა მოსახლეობას მობრძანებისთვის, ასევე საკრებულოს ყველა წევრს აქტიური თანამშრომლობისათვის და საკრებულოს აპარატს თანადგომისთვის.

პატივისცემით,

ელისო ჭიჭინაძე

საკრებულოს წევრი

საკრებულოს წევრები